



ჯანმრთელობის
სახლი გურიაში

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 242005977

იურიდიული მისამართი: საქართველო, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი,
სოფელი ბუკნარი; სხვა (ფაქტური) მისამართი: საქართველო, დაბა ჩოხატაური,
ი. ჭავჭავაძის ქ. N1 ელ. ფოსტა: s.gudavadze@gmail.com

ტელ.: 555000864

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“-ს (ს/კ 242005977) 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული ფინანსური წლის
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

გვერდი 3 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

გვერდი 4 - მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებები მოგების ანგარიშგება

გვერდი 5 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

გვერდი 6 – 1. ზოგადი ინფორმაცია

გვერდი 6 – 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

გვერდი 7 – 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

გვერდი 11 – 4. განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

გვერდი 11 – 5. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

გვერდი 15 – 6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	<u>2022</u>	<u>2021</u>
<u>აქტივები</u>			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	5.1	274,460	88,101
მოკლევადიანი მოთხოვნები	5.2	354,191	391,612
მარაგები	5.3	23,624	30,311
სულ მოკლევადიანი აქტივები		652,275	510,023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5.4	1,139,523	756,374
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,139,523	756,374
<u>სულ აქტივები</u>		<u>1,791,798</u>	<u>1,266,398</u>
<u>ვალდებულებები და კაპიტალი</u>			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5.5	226,278	231,300
დაქირაბულ პირთა გასამრჯელოების მოკლევადიანი ვალდებულებები		268,684	277,373
გრძელვადიანი საბანკო სესხების მიმდინარე ნაწილი	5.6	48,670	80,476
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		12,758	13,834
დარიცხული ვალდებულებები		2,589	2,634
სულ მიმდინარე ვალდებულებები		558,978	605,617
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საბანკო სესხები	5.7	1,205,109	776,419
გადავადებული შემოსავალი	5.8	18,621	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,223,730	776,419
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
დაუფარავი ზარალი		0	(117,638)
გაუნაწილებელი მოგება		7,089	0
სულ კაპიტალი		9,089	(115,638)
<u>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</u>		<u>1,791,798</u>	<u>1,266,398</u>

გენერალური დირექტორი
სალომე გუდავაძე

ფინანსური მენეჯერი
გიორგი შენგელია

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	<u>2022</u>	<u>2021</u>
ამონაგები	5.9	1,403,620	1,287,521
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	5.10	(859,397)	(990,318)
<u>საერთო მოგება</u>		<u>544,223</u>	<u>297,203</u>
კომერციული ხარჯები		(2,480)	0
ადმინისტრაციული ხარჯები	5.11	(501,755)	(530,263)
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>39,987</u>	<u>(233,060)</u>
არასაოპერაციო შემოსავლები	5.12	196,093	344,744
არასაოპერაციო ხარჯები	5.13	(111,127)	(32,887)
<u>მოგება დაბეგრამდე</u>		<u>124,954</u>	<u>78,796</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		(227)	(146)
<u>პერიოდის მოგება</u>		<u>124,727</u>	<u>78,651</u>
<u>გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი წლის დასაწყისში</u>		<u>(117,638)</u>	<u>(196,288)</u>
დივიდენდი		0	0
აქტივების გაუფასურება		0	0
<u>გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი წლის ბოლოს</u>		<u>7,089</u>	<u>(117,638)</u>

გენერალური დირექტორი
სალომე გუდავაძე

ფინანსური მენეჯერი
გიორგი შენგელია

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	<u>2022</u>	<u>2021</u>
<u>ნაშთი პერიოდის დასაწყისში</u>	<u>88,101</u>	<u>83,583</u>
მყიდველებიდან მიღებული ფული	1,383,656	1,229,843
ანგარიშვალდებული პირებიდან დაბრუნებული ფული	10,449	
სხვა საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული ფული	206,879	3,974
გადახდები მომწოდებლებზე	(465,199)	(441,335)
გადახდილი გადასახადები	(152,944)	(108,600)
დაქირავებულ პირებზე გადახდილი გასამრჯელოები	(541,226)	(518,131)
განაცემები ანგარიშვალდებულ პირებზე	(21,050)	(4,364)
საპენსიო შენატანები	(10,633)	(9,693)
ბანკის საკომისიო	(18,614)	(8,768)
სხვა საოპერაციო განაცემები	(214,256)	(126,134)
<u>საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>	<u>177,062</u>	<u>16,792</u>
გადახდები ძირითადი საშუალებების შეძენა/შექმნაზე	(428,523)	(679,776)
<u>საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>	<u>(428,523)</u>	<u>(679,776)</u>
შემოსულობები გრძელვადიანი საბანკო სესხებიდან	1,413,080	922,610
შემოსულობები სესხების პროცენტის სუბსიდირებიდან	48,315	1,513
გადახდილი გრძელვადიანი საბანკო სესხები	(931,116)	(224,897)
გადახდილი პროცენტები	(92,458)	(31,723)
<u>საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>	<u>437,820</u>	<u>667,502</u>
<u>ნაშთი პერიოდის ბოლოს</u>	<u>274,460</u>	<u>88,101</u>
გენერალური დირექტორი სალომე გუდავაძე	ფინანსური მენეჯერი გიორგი შენგელია	

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“ (შემდგომში საზოგადოება) რეგისტრირებულია ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წლის 24 თებერვალს. სარეგისტრაციო ნომერი 63/-4-93, იურიდიული მისამართი ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ბუკნარი, ფაქტობრივი მისამართი დაბა ჩოხატაური, ჭავჭავაძის ქ. N1. საიდენტიფიკაციო (საგადასახადო) კოდი 242005977. საზოგადოების წილის 100%-ს მფლობელია ფ/პ მამუკა გუდავაძე პ/ნ 46001009740, ხოლო ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი სალომე გუდავაძე პ/ნ 46001006089.

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განეკუთვნება მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის 86.10.0 კოდით განსაზღვრულ საავადმყოფოების საქმიანობები.

საზოგადოების ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სააღრიცხვო პოლიტიკა მსს ფასს-ს შესაბამისად დამტკიცებულია 2022 წლის პირველ იანვარს, ხოლო ზემოაღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღი განისაზღვრება მსს ფასს-ს 35.6 პუნქტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ხელმძღვანელობის აზრით საწარმო გააგრძელებს თავის ჩვეულებრივ საქმიანობას მინიმუმ მომდევნო ერთი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მაინც.

საზოგადოება ღიად აცხადებს, რომ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ფინანსური ანგარიშგება რომელიც სრულად შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს, ხოლო გასული პერიოდის ანგარიშგება მომზადებული იყო მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია სამუშაო ვალუტაში, ქართულ ლარში, საზოგადოება ფინანსურ ანგარიშგებას ამტკიცებს და წარადგენს ყოველწლიურად, არაგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას (ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით);
- მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას;
- საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (პირდაპირი მეთოდით);
- სააღრიცხვო პოლიტიკას და ახსნა განმარტებით შენიშვნებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ეროვნული და უცხოური ვალუტისაგან. ფულადი სახსრების ექვივალენტებად აღირიცხება საწარმოს განკარგულებაში არსებული მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლის ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა და რომლის განაღდებაც მოთხოვნისთავე შესაძლებელია.

მოკლევადიანი მოთხოვნები

საქონლისა და მომსახურების კრედიტში რეალიზაციის შემთხვევაში მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება მხარეებს შორის დადებული გარიგების ღირებულებით. კრედიტში რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილ დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, დებიტორული დავალიანების ის ნაწილი რომელიც ამოღებას არ ექვემდებარება აღიარდება მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგების თვითღირებულების შეფასებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

საზოგადოების საქმიანობის სპეციკიდან გამომდარე მარაგები კლასიფირდება ორ განსხვავებულ კლასად:

ა) მარაგები რომლებიც წარმოდგენილია ნედლეულისა და სახარჯი მასალების სახით და მონაწილეობს უშუალოდ სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში, და

ბ) სხვა მატერიალური მარაგები, რომელიც მომსახურების გაწევის პროცესში პირდაპირ არ მონაწილეობს და განკუთვნილია საერთო და ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

ხარჯებში ჩამოწერილი ნედლეული და სახარჯი მასალები აღირიცხება რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში.

საწვავის აღრიცხვა ხდება სხვა მატერიალური მარაგების ანგარიშზე და ჩამოიწერება ყოველთვიურად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით საზოგადოების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე განსაზღვრული ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში.

არსებითობის პრინციპის გათვალისწინებით, სხვა მატერიალური მარაბეგის ანგარიშებზე აღირიცხება 400 ლარამდე ღირებულების ისეთი აქტივებიც რომლის გამოყენების პერიოდიც შესაძლოა ცდებოდეს ერთ საანგარიშგებო პერიოდს. მსგავსი ტიპისა და ღირებულების აქტივზე გაწეული დანახარჯი არ კაპიტალიზდება და შესაბამისი აქტის საფუძველზე ექსპლოატაციაში გადაცემის საანგარიშგებო პერიოდში ჩამოიწერება მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

ძირითადი საშუალებების დავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისთვის გამოიყენება თვითღირებულების მეთოდი, რაც გულისხმობს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების შეფასებას თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია.

ცვეთის დარიცხება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელს პერიოდზე აქტივის ცვეთად ღირებულებაზე, რომელიც გამოითვლება თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ისეთ ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა რომელიც უშუალოდ საოპერაციო საქმიანობაში (სამედიცინო მომსახურების გაწევაში) გამოიყენება აღიარდება რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში.

ყველა ჯგუფის ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების პერიოდის შესაბამისად:

- შენობა-ნაგებობა - 20-40 წელი
- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი
- ოფისის აღჭურვილობა - 2-7 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 2-7 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 3-7 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 5 წელი (არაუმეტეს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის)

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები აღირიცხება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით, გარიგების ღირებულებით, როგორც უპროცენტო კრედიტი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოკლევადიან ვალდებულებებში აისახება გრძელვადიანი ვალდებულების ის ნაწილი რომელიც გადასახდელია მომდევნო ერთი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებები აღირიცხება გადასახდელი ფულადი სახსრების ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში აღებული მოკლევადიანი ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად და მიღებული შედეგი აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი ან შემოსულობა.

გრძელვადიანი საბანკო ვალდებულებები

გრძელვადიანი საბანკო სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით, რადგან საბანკო სესხებზე გადასახდელი საპროცენტო განაკვეთები საზოგადოების მიმდინარე სესხებზე, არაარსებითად შეიძლება განსხვავდებოდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთისგან. გამომდინარე აქედან, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი გადასახდელების მიმდინარე ღირებულება დაახლოებით უტოლდება გარიგების ფასს.

საბანკო სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო გადასახდელები აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

უცხოურ ვალუტაში აღებული საბანკო სესხები თავდაპირველად აღიარდება მიღების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში აღებული საბანკო სესხები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კაპიტალი

საზოგადოების საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისაგან და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

საწესდებო კაპიტალის ღირებულება განსაზღვრულია საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაციით და შეადგენს 2 000.0 (ორიათასი) ლარს.

გაუნაწილებელი მოგება შეიძლება გამოყენებული იქნას შემდგომი რეინვესტირებისთვის და დივიდენდად გასაცემად.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების საწესდებო კაპიტალში გადატანას.

ამონაგები და სხვა შემოსავალი

ამონაგების შეფასება ხდება სამედიცინო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის გამორიცხვით.

სხვა შემოსავლები მოიცავს ისეთ შემოსულობებს რომელიც არ განეკუთვნება საწარმოს საოპერაციო საქმიანობის შედეგს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ აღიარდება ერთის მხრივ როგორც ვალდებულება და მეორეს მხრივ როგორც საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯი.

უშუალოდ საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სამედიცინო პერსონალის გასამრჯელოები აღიარდება საანგარიშო პერიოდში რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში ხოლო, ადმინისტრაციისა და სხვა არასამედიცინო პერსონალის გასამრჯელოები საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას და მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

აქტივის გაუფასურების ზარალი მაშინ წარმოიშვება, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივი აისახება ანაზღაურებადი ღირებულებით, ხოლო სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის აღრიცხვა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის შესაბამისად (ე.წ. ესტონური მოდელით).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აღიარდება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაანგარიშდება საბოლოო სავალუტო კურსის შესაბამისად.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების გადაანგარიშებისას აღიარდება მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენების არსებობის შემთხვევაში ხდება შესაბამისი კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების მოხდენის შემთხვევაში აისახება შესაბამისი მოვლენები ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

უსასყიდლოდ მიღებული გრძელვადიანი აქტივები

უსასყიდლოდ ან/და გრანტის სახით მიღებული გრძელვადიანი აქტივები აღირიცხება გადავადებული შემოსავლის მუხლში.

უსასყიდლოდ ან/და გრანტის სახით მიღებული გრძელვადიანი აქტივები გადავადებული შემოსავლის მუხლიდან შემოსულობებში გადაიტანება აქტივის სასარგებლო მომსახურების პერიოდის პროპორციულად, წრფივი მეთოდით დარიცხული ცვეთის შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

4. განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებთან დაკავშირებით საზოგადოების ხელმძღვანელობა აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა და ტექნოლოგიური პროგრესი რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენ ღირებულებას ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საზოგადოება აქტივის ნარჩენი ღირებულების, ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილებას ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში საწარმომ შეიძლება შექმნას საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების რეზერვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობამ შესაძლებელია გამოიყენოს შეფასების საფუძვლად დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობა, წარსულში ჩამოწერის გამოცდილება და მომხმარებლის კრედიტუნარიანობა.

5. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

5.1 ფულადი სახსრები

	2022	2021
ნაღდი ფული საღაროში	1,377	889
ფული საბანკო ანგარიშებზე	273,083	87,212
<u>სულ ფულადი სახსრები</u>	<u>274,460</u>	<u>88,101</u>

5.2 მოკლევადიანი მოთხოვნები

	2022	2021
მოთხოვნები მომსახურებიდან	293,580	281,107
მოთხოვნები დაქირავებულ პირთა მიმართ	6,845	2,478
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	53,491	108,026
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	275	0
<u>სულ მოკლევადიანი მოთხოვნები</u>	<u>354,191</u>	<u>391,612</u>

5.3 მარაგები

	2022	2021
ნედლეული და მასალები	23,624	30,311
<u>სულ მარაგები</u>	<u>23,624</u>	<u>30,311</u>

5.4 ძირითადი საშუალებები

	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
დაუმთავრებელი მშენებლობა	421,140	333,144	0	87,995
შენობები	189,657	0	0	189,657
მანქანა-დანადგარები	858,109	148,294	0	709,815
ოფისის აღჭურვილობა	68,964	2,025	0	66,939
ავეჯი და სხვა ინვენტარი	259,581	6,152	0	253,429
სატრანსპორტო საშუალებები	10,868	0	0	10,868
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	29,704	0	0	29,704
<u>ჯამი</u>	<u>1,838,021</u>	<u>489,615</u>	<u>0</u>	<u>1,348,406</u>
ცვეთა	ნაშთი 31.12.2022	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2021
დაუმთავრებელი მშენებლობა	0	0	0	0
შენობები	57,578	18,966	0	38,612
მანქანა-დანადგარები	320,541	75,310	0	245,231
ოფისის აღჭურვილობა	62,982	2,232	0	60,750
ავეჯი და სხვა ინვენტარი	242,075	1,844	0	240,231
სატრანსპორტო საშუალებები	3,441	2,174	0	1,268
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	11,882	5,941	0	5,941
<u>ჯამი</u>	<u>698,499</u>	<u>106,465</u>	<u>0</u>	<u>592,033</u>
<u>საბალანსო ღირებულება</u>	<u>1,139,523</u>			<u>756,373</u>

დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიში მოიცავს 2021 წელს დაწყებულ და 2022 წელს მიმდინარე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMEGENCY) შენობის მშენებლობას. სულ ჯამში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაწეულია 421,140 ლარის დანახარჯი.

ყველა ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას აღიარებულია თვითღირებულებით, ხოლო საბალონსო ღირებულება შემცირებულია დარიცხული ცვეთის თანხით. 2022 წლის განმავლობაში არ მომხდარა ძირითად საშუალებებზე გაუფასურების ზარალის აღიარება.

5.5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ძირითადად მომწოდებლებზე გადასახდელ თანხებს. სავაჭრო ვალდებულებებში ჩართულია, ასევე საოპერაციო იჯარის ვალდებულება. რომელიც მოიცავს შენობის ფართს და მიწას. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2022	2021
შენობის იჯარის ხარჯი	75,000	75,000
მიწის იჯარა	6,000	5,00
<u>სულ იჯარის ხარჯი</u>	<u>81,000</u>	<u>75,000</u>

2022 წლის ბოლოს საზოგადოებას გააჩნია მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები: არაუგვიანეს ერთი წლისა 81,000 ლარი; ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა 324,000 ლარი.

5.6 გრძელვადიანი საბანკო სესხების მიმდინარე ნაწილი

გრძელვადიანი საბანკო სესხების მიმდინარე ნაწილი მოიცავს მომდევნო ერთი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი გადასახდელების მიმდინარე ღირებულებებს, რომელიც 2022 წლის ბოლოს შეადგენს 48,670 ლარს.

5.7 გრძელვადიანი საბანკო სესხები

	2022	2021
გრძელვადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში	474,243	522,419
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 1	344,079	254,000
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 2	186,786	0
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 3	200,000	0
<u>სულ გრძელვადიანი საბანკო სესხები</u>	<u>1,205,109</u>	<u>776,419</u>

უცხოურ ვალუტაში მიღებული საბანკო სესხი დენომინირებულია აშშ დოლორში, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 5.5% („Libor“-ის ექვსთვიან განაკვეთს + 4.01%), სესხის სრული ვადა შეადგენს 10 წელს, 2022 წლის ბოლოს სესხის დარჩენილი დაფარვის პერიოდია 112 თვე.

გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 1 - მიღებულია „აწარმოე საქართველოს“ სახელმწიფო პროგრამის კრედიტის პროცენტის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში, კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთია 12.5% (რეფინანსირების განაკვეთს + 2%). სესხის ძირ თანხაზე მოქმედებს საშეღავათო პერიოდი 18 თვის განმავლობაში, ხოლო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კრედიტის პროცენტის სუბსიდირება გრძელდება 3 წლის მანძილზე. სესხის სრული ვადა შეადგენს 10 წელს, 2022 წლის ბოლოს სესხის დარჩენილი დაფარვის პერიოდია 111 თვე.

გრძევადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 2 - მიღებულია „აწარმოე საქართველოს“ სახელმწიფო პროგრამის კრედიტის პროცენტის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში, კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთია 12.5% (რეფინანსირების განაკვეთს + 2%). სესხის ძირ თანხაზე მოქმედებს საშეღავათო პერიოდი 18 თვის განმავლობაში, ხოლო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კრედიტის პროცენტის სუბსიდირება გრძელდება კრედიტის მთელ პერიოდზე. სესხის სრული ვადა შეადგენს 10 წელს, 2022 წლის ბოლოს სესხის დარჩენილი დაფარვის პერიოდია 111 თვე.

გრძევადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 3 - მიღებულია „აწარმოე საქართველოს“ სახელმწიფო პროგრამის კრედიტის პროცენტის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში, კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთია 12.5% (რეფინანსირების განაკვეთს + 2%). სესხის ძირ თანხაზე მოქმედებს საშეღავათო პერიოდი 12 თვის განმავლობაში, ხოლო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კრედიტის პროცენტის სუბსიდირება გრძელდება კრედიტის მთელ პერიოდზე. სესხის სრული ვადა შეადგენს 10 წელს, 2022 წლის ბოლოს სესხის დარჩენილი დაფარვის პერიოდია 120 თვე.

პროცენტის სუბსიდირებიდან მიღებული შემოსულობები აღწერილია მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების შენიშვნებში.

5.8 გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალში აღიარებულია უსასყიდლოდ გადმოცემული ერთი ერთეული წყლის საფილტრი აპარატი NUF-1 MCM. რომლის საბალანსო ღირებულება 2022 წლის ბოლოს შეადგენს 18,621 ლარს, ხოლო 2022 წლის განმავლობაში აღიარებული შემოსულობა 690.0 ლარს.

5.9 ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	1,403,620	1,287,521
<u>სულ ამონაგები</u>	<u>1,403,620</u>	<u>1,287,521</u>

5.10 რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

	2022	2021
ნედლეული და მასალები	273,109	453,521
პირდაპირი ხელფასი	491,209	479,988
ცვეთა	81,589	38,157
სხვა საოპერაციო ხარჯები	13,490	18,652
<u>სულ</u>	<u>859,397</u>	<u>990,318</u>

5.11 ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ადმინისტრაციის და არასამედიცინო პერსონალის ხელფასი	178,448	167,288
საიჯარო ხარჯი	81,000	75,000
ოფისის ხარჯები	16,093	14,159
კომუნიკაციის ხარჯები	59,060	55,684
მიმდინარე რემონტის ხარჯი	3,018	8,876
ცვეთა	24,877	20,149
სხვა საგადასახადო ხარჯი	1,876	0
სხვა საერთო ხარჯები	137,449	189,107
<u>სულ ადმინისტრაციული ხარჯი</u>	<u>501,820</u>	<u>530,263</u>

5.12 არასაოპერაციო შემოსავლები

	2022	2021
მედიკამენტების უსასყიდლო მოწოდება	57,906	290,491
შემოსულობა საკურსო სხვაობიდან	85,079	52,740
შემოსულობა სესხის პროცენტის სუბსიდირებიდან	48,315	1,513
შემოსულობა გრძელვადიანი აქტივის უსასყიდლოდ მიღებიდან	690	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,103	0
<u>სულ არასაოპერაციო შემოსავლები</u>	<u>196,093</u>	<u>344,744</u>

5.13 არასაოპერაციო ხარჯები

	2022	2021
საპროცენტო ხარჯი	92,458	30,591
ხარჯი საკურსო სხვაობიდან	8,948	0
ხარჯი მიღება-ჩაბარების აქტების კორექტირებიდან	7,815	2,296
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,905	0
<u>სულ არასაოპერაციო ხარჯები</u>	<u>111,127</u>	<u>32,887</u>

6. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად დაშვებულია გენერალური დირექტორის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი
სალომე გუდავაძე

ფინანსური მენეჯერი
გიორგი შენგელია